



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 414

21/02/2018

ქალაქი ბათუმი

414-05-4-201802211532



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი სალიბაურში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სიხარული“-ს საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №36 დადგენილების, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის“ დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აპრილის №15 დადგენილების მე-10 მუხლის მესამე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის მეორე პუნქტისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სიხარული“-ს თავმჯდომარეს ქალბატონ ლამარა ბოლქვაძის 2018 წლის 13 თებერვლის №2227/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სიხარული“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობაზე;
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ.ნაკაშიძე) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურმა (მ. კვირიტიძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა